ISSN 1987-5134

# საბავშვო კარუსელი






ფასდაკლების ვაუჩერი

ამოჭერი ვაუჩერი,
წარადგინე „ბიბლუსის“
ნებისმიერ მაღაზიაში და
მიიღე წიგნი
ფასდაკლებით

საბავშვო კარუსელი



ვაუჩერი ძალაშია
9-დან 15 სექტემბრის
ჩათვლით

შენი საყვარელი
ზღაპრები ერთ
წიგნად

~~23 ლარი~~
11.50 ლარი


შემეცნებით-
გასართობი
ჟურნალი

35


9 სექტემბერი, 2016 წელი
გამოდის პარასკეობით
ფასი 2 ლარი


www.facebook.com/საბავშვო-კარუსელი

# აურზაური სამზარეულოში



1 იპოვე ნახატზე 4 თევზი;

2 სად დევს ღილი?

3 იპოვე გემი;

4 ვინ აპირებს სოსისის შეჭმას?

5 არის ნახატზე მარწყვი?

6 იპოვე 4 ჩანგალი;

7 იპოვე სამარილე;

8 ვის აქვს მწვანე კუდი?

9 იპოვე ნახატზე ეს ფრაგმენტები.

10 ნახატზე არის პინგვინი?

# ვინ რას ამბობს

ყველა ფრაზა მასთან დააკავშირე, ვის ნათქვამსაც ჰგავს იგი.



რა დაბრაწუ-
ლია! ეს ქათამი
გამაგიჟეეებს...

ამდენ სოსისს
მოვერევით?



ეს რა კარგი
საფხანელა
მოუგონიათ
ადამიანებს.

ეს პულტი,
რაღაც,
არ მეცნობა.





მეორედ აღარ გამიბედო
ბრჭყალის გაკვრა,
გასაგებია?!



ეს სავარძელი
მხოლოდ მე
მეკუთვნის.



კარი გამი-
ღეთ რა.



# ოთხფეხა მეგობრები



რა შეიძლება გაიგო ძაღლისა და კატის კუდის მოძრაობით? ძალიან ბევრი. მაგალითად, მისი კუდი გიკარნახებს, როგორ ხასიათზეა შენი ოთხფეხა მეგობარი. გაეცანი ამ რჩევებს და კარგად დაიმახსოვრე.

## ძაღლი



როცა კუდს ამოიძუებს, ანუ კუდს ფეხებს შორის მოიქცევს, ეს არც ისე მეგობრული საქციელია და ხშირად იმას ნიშნავს, რომ ძაღლს რაღაცის ეშინია.



თუ კუდი გაპრეხილია და გასწორებული, მისი ხასიათი ნებისმიერ წამს შეიძლება შეიცვალოს.



ოდნავ თუ ამოძრავებს კუდს, რაღაცით არის დაინტერესებული.



როცა ძაღლი კუდს აქიცინებს აქტიურად, რაღაც უხარია. თუ ქიცინთან ერთად, კუდს ურტყამს კიდეც ძირს, ეს ძალიან დიდი სიხარულის და სიამოვნების მანიშნებელია.

## კატა

ახლა კი ფისოს ხასიათი გამოვიცნოთ...





თუ მაღლა აქვს აპრეხილი და თან ბეწვი ყალყზე აქვს, რაღაცაზეა გაბრაზებული და ამ დროს არ უნდ მიეკაროთ.



თუ კუდს აქეთ-იქით ნელა აქანავებს და ხან კუდით ეგლისება ვინმეს, ამით სითბოს გამოხატავს ან რაღაცის მიღება უნდა.



კუდი როცა იატაკზე უდევს გვერდულად და კუდის წვერს აქანავებს, თამაში უნდა.



თუ მაღლა აქვს აპრეხილი და გასწორებული, უხარია ვიღაცის დანახვა და მეგობრულია.



კუდი თუ პირდაპირ აქვს სწორად გაპრეხილი, რაღაცით არის დაინტერესებული.



კატას კუდზე ბეწვი თუ ყალყზე უდგას და ქვემოთ აქვს დაწეული, ცუდ ხასიათზეა ან შეშინებული.

# გააფერადე



# მზევორდი




**მთავარი სიტყვა: საინტერესო ამბავი ვინმეს შესახებ**

1 რა ცხოველია მიკი მაუსი;

2 ცირკის სცენა;

3 „ნორჩი“ ქათამი;

4 ფრინველის გამოსამწყვდევი;

5 მეფის ქალიშვი-ლი ანუ მეფის ...;

6 ყურპანტურა სპილო მულტფილმიდან;

7 მაუგლის გამზრ-დელი მგელი;

8 მეფე ლომი;

9 საოცრებათა ქვეყანაში მოხეტიალე გოგონა;

10 ეკლიანი და სურნელოვანი ყვავილი;

11 ხილი;

12 ძაღლის ნაშიერი;

13 ... გოგებ-აშვილი.

# კონსტრუქტორი







ჭკვიანმა ფისომ ფიგურებისგან პირამიდების აგება ისწავლა. სცადე და გადახატე უჯრებში მისი აგებული პირამიდები. თან ჩამოთვალე, რამდენი ფიგურაა თითოეულ პირამიდაში გამოყენებული? რომელშია ყველაზე მეტი ფიგურა?



# კროსვორდი



# მახსოვრობის ტესტი

დააკვირდი, რომელ ნახატს რომელი ფიგურა მოჰყვება. შემდეგ გადაშალე მომდევნო გვერდზე და მეხსიერებით ზუსტად გადაიტანე ფიგურები ცარიელ უჯრებში.


























# მახსოვრობის ტესტი














თუ უშეცდომოდ შეასრულე დავალება ან მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვი, ძალიან კარგი მეხსიერება გქონია;

თუ 2–3 შეცდომა გაქვს, არც ეს არის ცუდი შედეგი, უბრალოდ, ცოტა მეტად გჭირდება ყურადღების მოკრება;

3–ზე მეტი შეცდომა ცუდი შედეგია. ეცადე, ხშირად ავარჯიშო გონება, რაშიც ჩვენი ჟურნალის რუბრიკებიც დაგეხმარება.







ვინქსების შესახებ მეტი
წაიკითხე წიგნში

# ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ

თუ ყველა სიტყვას თავის განმარტებას უპოვი, მიხვდები, რომელი თევზი რომელ აკვარიუმში ბინადრობს.

ᲙᲣ

ᲕᲐᲟᲐ

ᲢᲝᲠᲢᲘ

ᲐᲜᲙᲔᲡᲘ

ᲛᲔᲢᲠᲝ

ᲘᲐ

ᲢᲐᲤᲐ

ᲔᲥᲘᲛᲘ

ᲛᲢᲠᲔᲓᲘ

ᲗᲣᲨᲔᲗᲘ

მშვიდობის ფრინველი;

მკურნალი;

სადღესასწაულო ნამცხვარი;

თევზის საჭერი მოწყობილობა;

მთიანი კუთხე საქართველოში;

გაზაფხულის ყვავილი;

ქართველი მწერალი, ბუნების მოტრფიალე;

ჭურჭელი შესაწვავად;

მიწისქვეშა ტრანსპორტი;

ცხოველი, რომლის ტბაც არის თბილისში.

# გიგანტური ლაბირინთი

რომელი გზით უნდა წავიდეს ფისო,
რომ მეგობარს შეხვდეს და ორივე
მახეს გვერდი აუაროს?



# მხიარული მათემატიკა

ყვითელ კუბებზე იმდენი წერტილი დასვი, რომ ციფრებით მითითებული ჯამი მიიღო.




დააკვირდი ციფრების თანმიმდევრობას ფრთებზე და სწორად ჩაწერე გამოყოვებული ციფრები.




განაგრძე დომინოს ქვების დაწინწკვლა ისე, რომ პრინციპი არ დაარღვიო.



# მოზაიკა

ამოჭერი ფრაგმენტები და ქვემოთ მოცემულ მაკეტზე
დააწებე ისე, რომ დასრულებული ნახატი მიიღო.





# თამაში: „სასახლის ჯადოქარი“






დაუძახე მეგობარს, მოიმარაგეთ კამათელი და შეუდექით თამაშს. გააგორეთ კამათელი და გადაადგილდით იმდენ უჯრაზე, რა ციფრზეც კამათელი დაჯდება. გაიმარჯვებს ის, ვინც პირველი მივა ფინიშთან.

# ბეღურების სამყარო


შინაური ბეღურა

როგორც კი აცივდება, ბევრი ფრინველი მიაშურებს თბილ ქვეყნებს და გაზაფხულამდე არ ბრუნდება. ბეღურები იმ მცირე-რიცხოვან ფრინველებს შორის არიან, რომლებიც არასდროს გვტოვებენ და ზამთარ-ზაფხულ ჩვენ გვერდით ბინადრობენ.



ეს პაწაწინა ფრინველები თითქმის ყველგან არიან გავრცელებულნი, რადგან იოლად ეგუებიან ცხოვრე-ბის პირობებს და საკვებიც მრავალ-ფეროვანი აქვთ – სხვადასხვა სახის მარცვლეული და მწერები. ზოგიერთი სახეობა უდაბნოშიც კი ბინადრობს.

ბეღურების რამდენიმე სახეობა არსებობს. მათ შორის – შინაური ბეღურები, მინდვრის ბეღურები, მოკლეთათებია ბეღურები და სხვანი. ძირითადად ჯგუფებად ცხოვრობენ. რამდენიმე ათეული ბეღურა ერთად მოედება ხოლმე ხეებს, სკვერებს და არც ისე იშვიათად, ბაღ-ვენახებს.


მინდვრის ბეღურა

ბეღურები ადამიანების მეგობრებად მიიჩნევიან. ალბათ ამიტომაც არის მსოფლიოში ბეღურისადმი მიძღვნილი ბევრი ძეგლი. პირველი ძეგლი ბეღურას 150 წლის წინ დაუდგეს ამერიკაში. ქალაქ ბოსტონს მავნე მწერები შემოესივნენ, რომლებიც სწორედ ბეღურებმა გაანადგურეს.





ბეღურას ძეგლი

ბეღურები ხშირად თავადაც არიან მავნებლები და დიდ ზიანს აყენებენ სოფლის მეურნეობას, რადგან მარცვლეულის თესლით იკვებებიან, ხის ნაყოფსაც ერჩიან და ყურძენსაც. თუმცა ამავე დროს ზოგიერთ ბეღურას, მაგალითად, მინდვრის ბეღურას, გარკვეული სარგებელიც მოაქვს ადამიანებისთვის – მწერებითა და სარეველების თესლებით იკვებება, რომლებიც ნათესებს აზიანებენ ხოლმე.

გააფერადე ბეღურა



ალბათ დაგინახავთ ქვიშაში ან მიწაში მოფუთფუთე ბეღურა. თურმე ამ დროს ეს ჩიტუნია ბანაობს. ბუმბულებს ისუფთავებს და პარაზიტებისგან თავისუფლდება.

# ილიას ფერადი სიზმარი

*ბესიკ კეკელიძე*

ილია მეოთხე კლასში გადავიდა. ზაფხულის გრძელი არდადეგები ძლივს მიილია და, როგორც იქნა, სკოლაში წასვლის დროც მოვიდა. ბიჭს თავისი კლასელები ისე ძლიერად მონატრებოდა, რომ ყოველ ღამე სიზმრად ხედავდა.

ილიამ დილაადრიან გაიღვიძა, პირი დაიბანა, ლამაზად გამოეწყო და სამზარეულოსკენ გაეშურა. დედიკომ გემრიელად ასაუზმა, შემდეგ ბიჭმა სასკოლო ჩანთა აიღო, და წასასვლელად გაემზადა.

– დედა, დღეს მხოლოდ კალამი და რვეული მიმაქვს. მარტო გაკვეთილების ცხრილს ჩავიწერ.

– კარგი, შვილო, – გაუღიმა და კარებამდე მიაცილა.

ბიჭი ქუჩაში გავიდა და ტაქსი გააჩერა:

– ბიძია, სუპერმარკეტ „ილარიონთან“ მიმიყვანთ?

– დაბრძანდი, – მიუგო მძღოლმა.

ილია მანქანაში ჩაჯდა:

– ბიძია, მაღაზიასთან ცოტა ხნით ხომ დამელოდებით და შემდეგ სკოლაშიც მიმიყვანთ?

– აუცილებლად, – გაუღიმა მამაკაცმა, – თუ სკოლაში მიდიხარ, სუპერმარკეტში რა გინდა?

– ჩემს ყველა კლასელს ტკბილეული უნდა მივუტანო.

– ყოჩაღ! – შეაქო მძღოლმა, – კი, მაგრამ, მაგდენი ფული გაქვს?

– ფული რად მინდა?! ჩემი სუპერმარკეტია, – ბიჭუნამ ამაყად აუხსნა და სულ მალე მანქანიდან გადავიდა. შენობაში შესულ უფროსს იქაური თანამშრომლები გარს შემოეხვივნენ, უღიმოდნენ და თვალებში შესციცინებდნენ.

ილიამ უამრავი სახეობის



ტკბილეული აიღო. ჩანთა კინაღამ გასკდა სიმძიმისგან. რამდენიმე წუთში ტკბილეულით გატიკნილი ზურგჩანთა ულამაზეს თაიგულთან ერთად ტაქსიმდე მიატანინეს,

– გმადლობთ, – თავაზიანად მიმართა ბიჭუნამ თანამშრომლებს და მანქანამ სკოლისკენ აიღო გეზი. როდესაც ადგილზე მივიდნენ, მძღოლმა თავზე ხელი გადაუსვა, შეაქო, – რა გულუხვი ბიჭი ხარო, და დაემშვიდობა.

ილია მანქანიდან გადავიდა და საკლასო ოთახისკენ გაიქცა. კლასში არავინ დახვედრია, ამით ისარგებლა და თითოეულ მერხზე ტკბილეული დაალაგა. განაწილებას მორჩა თუ არა, კარი გაიღო და ოთახში დამრიგებელი შემოვიდა.

– მაია მასწავლებელო! – შესძახა ბიჭმა, თაიგული ჩაბღუჯა და საყვარელი პედაგოგის შესაგებებლად გაიქცა...

– ილია, ილია, ილია! – რამდენჯერმე დაუძახეს.

– ჰა? – თვალები ჭყიტა ბავშვმა.

– გაიღვიძე, სკოლაში არ დავაგვიანოთ, – თავზე დედა წამოსდგომოდა.

– დედიკო, დღეს მე სკოლაში არ ვყოფილვარ? – თვალების სრესით საწოლზე წამოჯდა ბიჭუნა.

– არა, შვილო, მეოთხე კლასში პირველად მიდიხარ...

– რას ამბობ? – ილიამ გაოცებულმა იკითხა, – დედიკო, სავაჭრო ცენტრი „ილარიონი“ ჩემი არ არის?

– შვილო, რა „ილარიონი“, რის „ილარიონი“, – ჩაეღიმა ქალს, საწოლზე ჩამოუჯდა და ვაჟიშვილი გულში ჩაიკრა, – დროზე ჩაიცვი, ჩემო ფანტაზიორო, პირი დაიბანე და ამასობაში საუზმეს მოგიმზადებ.

– როგორ, მაია მასწავლებლისთვის თაიგულიც არ მაქვს?

– კი, დედიკო, და როცა მივალთ სკოლაში, თაიგულს მიართმევ.

– დედიკო, რომ გავიზრდები, ხომ მექნება ჩემი სუპერმარკეტი?

– თუ კარგად ისწავლი და ბევრს იშრომებ, რასაც მოისურვებ, ყველაფერი გექნება, – უთხრა დედამ და თმაგაბურძგნილი ბიჭუნა გულში ჩაიკრა.

*მხატვარი: ლელა ცინაძე*





მინიშნებებით იპოვე ცხოველები







იპოვე ცხოველი, რომელიც ძალიან ჯიუტია

რომელი ცხოველი გვაძლევს რძეს?

რომელ ცხოველს უყვარს ჭყვიტინი?







რომელი გვაძლევს მატყლს?

რომელ ცხოველს ვეუბნებით „აჩუს“?

იპოვე რქოსანი ცხოველი, რომელიც რძეს არ გვაძლევს

# პატარებისთვის

შეაერთე წყვეტილი ხაზები და გაივარჯიშე ხელი



# გააფერადე



შეაერთე წერტილები თანმიმ-
დევრობით და დაასრულე ნახატი.

# გააფერადე



# ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲔ ᲨᲔᲜᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ





1. ᲕᲘᲡᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲐ „ᲩᲔᲛᲝ ᲙᲐᲠᲒᲝ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲕ“?

ა აკაკი წერეთლის

ბ გრიგოლ ორბელიანის

გ ილია ჭავჭავაძის



2. ᲠᲐ ᲰᲥᲕᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲒ ᲡᲐᲮᲜᲐᲕ-ᲡᲐᲗᲔᲡ ᲛᲘᲬᲐᲡ?

ა ხოდაბუნი

ბ მინდორი

გ ველი



3. ᲠᲝᲛᲔᲚ ᲗᲕᲔᲡ ᲔᲠᲥᲕᲐ ᲫᲕᲔᲚᲐᲓ ᲕᲐᲠᲓᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔ?

ა აგვისტოს

ბ მაისს

გ აპრილს





4. რომელი იყო ძველი ეგვიპტის მეფის ტიტული?

ა იმპერატორი

ბ კეისარი

გ ფარაონი



5. რომელი ისტორიული ძეგლია კახეთში?

ა ალავერდი

ბ ტიმოთესუბანი

გ გელათი





6. რა არის მწევარი?

ა სიგარეტის მწეველი

ბ ძაღლის ჯიში

გ გულაღმა დაწოლილი



7. სად დაიბადა უფალი იესო ქრისტე?

ა ბეთლემში

ბ იერუსალიმში

გ რომში



8. რომელი არ არის მღრღნელი?

ა ობობა

ბ თაგვი

გ ციყვი

ტესტი

# კარგად იცნობ თუ არა მსოფლიოს ზღაპრებს?

ვინ ცხოვრობს ჯადოსნურ ლამპარში?
ა) ალადინი;
ბ) ჯინი;
გ) კეთილი მწყემსი.



რა ერქვა კოშკში გამომწყვდეულ ჯადოსნურთმიან გოგონას?
ა) ავრორა;
ბ) რაპუნცელი;
გ) არ ვიცი.

რით გაითქვა სახელი „ჩექმებიანმა კატამ“
ა) ძალიან ბევრი თაგვი დაიჭირა;
ბ) პატრონი გაამდიდრა;
გ) უგემრიელეს კერძებს ამზადებდა.



რომელ საათამდე უნდა დაბრუნებულიყო კონკია მეჯლისიდან?
ა) 11-მდე;
ბ) 12-მდე;
გ) საათი არ დაუნიშნავს.

რამ აქცია პინოკიო ნამდვილ ბიჭად?
ა) კარგმა სწავლამ;
ბ) სიკეთის ჩადენამ;
გ) კარგმა ცეკვამ.





თუ შენს პასუხებში ჭარბობს:

ა ვარიანტი:

ზღაპრებს ნამდვილად იცნობ, თუმცა ზუსტად ვერ იხსენებ იქ მოთხრობილ ამბავს. ალბათ, უყურადღებოდ უსმენ.

ბ ვარიანტი:

ყოჩაღ, ზღაპრები კარგად გახსოვს. შენგან კარგი მკითხველიც დადგება.

გ ვარიანტი:

უცხოური ზღაპრებით დიდად დაინტერესებას ვერ გამჩნევთ, იქნებ ქართული ზღაპრები უფრო გიზიდავს?



# მხატვრის გვერდი

ამ ნახატებიდან რამდენიმე „ბიბლუსი ქიდს-ში“ გასართობად მისული პატარე-ბის დახატულია. თქვენც გაერთეთ „ბიბლუსი ქიდსში“, იქვე დახატეთ და საუკეთესო ნახატე-ბი ჩვენს ჟურნალში მოხვდება.


მარი კინწურაშვილი, 13 წლის


გეგა გიორგაძე, 6 წლის


ანი ჭუმბურიძე, 11 წლის


მარიამ სანიკიძე, 8 წლის


ლუკა გიორგაძე, 9 წლის


ცოტნე გორდელაძე, 6 წლის


ნიკოლოზ ახალაია, 9 წლის


ნიკოლა ხუჯაძე, 5 წლის


ნინი სხირტლაძე, 9 წლის


მაია ხუციშვილი, 8 წლის


ქეთა ჯანელიძე, 6 წლის

## №35-ის პასუხები

**გვ. 6. მზევორდი:**
1. თაგვი; 2. არენა; 3. ვარია; 4. გალია; 5. ასუ-ლი; 6. დამბო; 7. აკელა; 8. სიმბა; 9. ალისა; 10. ვარდი; 11. ატამი; 12. ლეკვი; 13. იაკობ.

**გვ. 8. კროსვორდი:**
1. წიგნი; 2. სახაზავი; 3. გლობუსი; 4. ფარ-გალი; 5. ჩანთა; 6. ფანქარი; 7. რუკა; 8. კალამი; 9. რვეული; 10. საშლელი; 11. მერხი; 12. პენალი.

**გვ. 12. კროსვორდი „სპორტი“:**
1. კალათბურთი; 2. ფარიკაობა; 3. რაგბი; 4. კრივი; 5. ჰოკეი; 6. ცურვა; 7. ფეხბურთი

**გვ. 26-27. შეამოწმე შენი ცოდნა:**
1-ა; 2-ა; 3-ა; 4-ა; 5-გ; 6-ბ; 7-ა; 8-ა.

**გვ. 30. სკანვორდი:**
1. ძაღლი; 2. სტადიონილ; 3. ნიორი; 4. მძივი; 5. პირატი; 6. პარაშუტი; 7. ტიმონი; 8. შორტი; 9. მზე; 10. ურემი; 11. ტორტი; 12. გვირილა.


კოლორი
დაიბეჭდა სტამბა კოლორში

პალიტრამედიის ცხელი ხაზი: (995 32) 2 19 60 13
(995 32) 2 19 60 53
ელ.ფოსტა: contact@palitra.ge
sabavshvo@palitra.ge
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
სარეკლამო: (995 32) 2 37 78 07
(995 32) 2 38 78 70

საბავშვო კარუსელი №35 (600)



ჟურნალის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე:
www.elva.ge
ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით:
(+995 32) 2 37 50 03; (+995 32) 2 38 26 74
ადგილზე მიტანა უფასოა!

# სკანვორდი

1


2


3


4


გულსაკიდი

5


იგივეა რაც მეკობრე

6


7


8


მოკლე შარვალი

9


10


საზიდარი

11


12


გაატარეთ ზაფხული მხიარულად

# გააფერადეთ არდადეგებზე!

**5** გასაფერადებელი + ფანქრების კომპლექტი
ჟურნალ „საბავშვო კარუსელის“ ბიბლიოთეკისგან




კომპლექტის ფასი
3 ₾

შეიძინეთ პრესის გავრცელების ჯიხურებსა და „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში




# წაიკითხე იისფერი ზღაპრები და იმოგზაურე ჯადოსნურ სამყაროში!

ეს მშვენიერი წიგნი საზღაპრეთში გამოგზაურებს. გმირებთან ერთად დრაკონებსაც დაამარცხებ, მორცხვობასა და შიშსაც დაძლევ, იცეკვებ, იმღერებ, შეჯიბრებებშიც მიიღებ მონაწილეობას, მამასაც დაეხმარები, წყალქვეშა სამყაროსაც გაეცნობი და ფრენა-ფრენით ცის ქვეშეთსაც შემოივლი. ეს ზღაპრები გასწავლის სიკეთეს, თანადგომას, შრომის ფასსა და რაც მთავარია - სიყვარულს...

**სიახლე**

**22.99 ₾**

## შეაგროვე ვინქსკლუბის ფერიების 12 მოდელი და შექმენი ჯადოსნური კოლექცია




პალიტრა L

## ყველა გოგონას საოცნებო თოჯინები

**სიახლე**

შეფუთვის ფასი

**4.99 ₾**






შეფუთვაში ვინქსკლუბის ფერიების ერთ-ერთი თოჯინა დევს.
ექვსი პერსონაჟის 2-2 მოდელს თუ შეაგროვებ, სრული კოლექციის მფლობელი გახდები.

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74
და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ. palitral.ge Palitra.L.Publishing